

# ს მ ა მ ბ რ ა ე ლ ის ა

ფასი 1 კანატი.



სიონიზმი მიიღების შემკმნას ებრაელ ერისთვის საერთაშორისო უფლებებით უზრუნველყოფილი ეროვნული ცენტრი პალესტინაში. (ბაზელი პროგრამა).

გაზეთი ღირს: 3 თვით 10 მ., 1 თვით 3 მან. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე, ისე მეთხუთხე, პეტიტის სტრიქონი 1 მ. კანტორა ღია ყოველდღე. შაბათებისა და უქმე დღეების გარდა, დღის 10 საათიდან პირველ საათამდე. ფული და ყოველგვარი კურსპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаись, почтовый ящик № 54 редакції „ХМА ЭБРАЕЛИСА“.

რედაქციაში პირადად მოლოპარაკება შეიძლება 10-12 საათამდე. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ამის შესახებ არც მიწერ მოწერას კისრულობს.

რედაქცია და კანტორის ადრ. სკა: Кутаись, Адвокатская ул. № 8.

№ 8 უოველ კვირეული ორგანო ქუთაისის სიონისტთა სახელსო ფრაქციის „სემეპროცინის“ კომიტეტის № 8

## მიიღება ხელის მოწერა უოველ კვირეულ სახელმწიფო და სალიტერატურო გაზეთ „სმამბრაელისა“-ში

მიიღება ხელის მოწერა ინტერესებს საქართველოში

„სმამბრაელისა“ იბრძვის ხალხის თვითმოქმედებისა და აღორძინებისათვის, ეცდება მისცეს მკითხველებს სრული სურათი თანამედროვე მსოფლიო ებრაელობის ცხოვრებისა. „სმამბრაელისა“ გააცნობს მკითხველებს საქართველოს ებრაელობის ცხოვრების ყველა მოვლენებთან, გამოემზაურება ყველაფერ მას, რაც აღუდგებს ებრაულ აზრსა და გრძნობას. გაზეთში მოთავსებული იქნება წერილები აუღიკადან: ისტორიიდან, რელიგიიდან, ებრაულ ლიტერატურიდან და სხვ. გაზეთში ყოველთვის იქნება ფართო ინფორმაცია პალესტინის ვარშემო. ვეცდებით აგრეთვე გავაცნოთ მკითხველები ებრაელთა შორის არსებულ ყველა პარტიებთან გაზეთში მონაწილეობას დებულობენ: დ. აჯიაშვილი, ბენ-არცი, დ. ბააზოვი, ნ. ელიაშვილი, ბ. ელ-შვილი, ექიმი ბ. კაკიტელაშვილი, ი. მინოვიჩი, მ. მაგალივი, მ. ჯინჯიხაშვილი, ს. ციცი-შვილი და სხვ.

წელიწადი ფასი: 6 თვით 20 მ., 3 თვით 10 მან. 1 თვით 3 მ. 50 კაპ.

რედაქცია და კანტორის ბინა: დეკატის ქუჩა № 8. საფოსტო მისამართი: Кутаись, почт. ящик № 54. „Хма Эбраелиса“

### პარტიული სწავლებიდან

კვირას, 22 დეკემბერს დღის ათ საათზე შესდგება ქუთაისის სიონისტთა საერთო კრება. დღის წესრიგი:

1. მოხსენება ახ. ს. ციციშვილისა შემდეგ თემაზე: ებრაული სახელმწიფო ებრაელობის ვაზზე.
  2. სარევიზიო კომისიის ანგეზები.
  3. ბიბლიოთეკა.
  4. პარტიული ორგანო.
  5. პარტიული გარდასახადი.
  9. varia
- ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ. კრება არ გადიდება.

### განცხადება

ამ ხალხ მომავალში ქუთაისიდან მიემგზავრება ერეც ისრაელში (პალესტინაში) სამი ებრაელი. მსურველთ შეუძლიათ დაავალონ მათ წერილებისა და მსუბუქი ნივთების წაღება ერეც ისრაელში მცხოვრებ ნათესავებთან.

მისამართი ვაზ. „სმამბრაელისა“ რედაქციაში დღის 10-12 საათამდის.

### დოკტორი მადიციინისა

#### ბ. ი. კაკიტელაშვილი

იღებს ქალთა და ბავშთა ავადმყოფებს. ელექტრონის საპურნალო, შარდის ბუშტის ელექტრონით განათება და წამლობა, პარალელონიების აქიმობა.

მიღება ავადმყოფებისა: 8-12 და 4-9 საათამდე.

პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი.

### განცხადება.

#### ი. მ. მინოვიჩის

სახელოსნოში (ქარვისლის ქუჩა, საკ. სახლი, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ძალიან იაფ და ხელ მისაწოდებ ფასებში შეიძლება წიგნების აქიმება.

1-1 პატარისკმით ი. მინოვიჩი.

### კბილის სამკურნალო

#### უ. ნ. ნაშიოტისა.

მეტათ ხელსაყრელ ფასებში შეიძლება აღავადმყოფებულ კბილების აქიმობა, კბილის მოძრობა უტკიურათ. პლომბების გაცეთება და ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, როგორც ოქროსი, აგრეთვე კალქუისა.

მიღება შეიძლება ყოველ დღე დღის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, გარდა შაბათებისა და ებრაულ უქმეებისა. მისამართი: მიხაილოვის ქუჩა, ჩიქოვანის სახლი, წითელ ხიდან. 1-2

#### ექიმი პ. ზ. კოპოჩაშვილი

იღებს შინაგან, ყურის, ცხვირის და ყელის ავადმყოფებს ყოველ დღე დღის 12-1 საათამდე და საღამოს 5-7-ამდე. გაგარინის ქუჩა, № 5, სახლი ფირალთისა. 1-4

### ქუთაისი 19 დეკემბერი.

რას მოველით ჩვენ, ებრაელობა, საერთაშორისო კონგრესიდან? თუ ეს კონგრესი იქნება ქეშმარიტებისა და დაჩაგრულთა დამცველი, როგორი ღონუნგითაც გამოდის ვილსონი, იმ შემთხვევაში ებრაელის ერმა უნდა მიიღოს კონგრესიდან ყველა ერზე მეტი, ვინაიდან ვერც ერთი ერის ტანჯვა-დაჩაგრვა ვერ შეედრება მის ჩაგვრასა და აწიკებას. იმის გარდა, რომ ებრაელები, ყველა მემობარ სახელმწიფოებში დაფანტულნი, ღვრიდენ სისხლს თვიანთივე ძმებისა, ისინი კიდევ ჩაგრებოდნენ, როგორც ებრაელები, მათ გადაიტანეს ბევრი მორალური წვალება იმ ინსინუაციებისა და ცილისწამების, რომელსაც ებრაელობა არას ოდეს არ დაივიწყებს.

უპირველესად ყოვლისა მსოფლიო ებრაელობა ხმამაღლა მოითხოვს, რომ სამშვიდობო კონგრესმა ერთხელ და უკანასკნელათ გამოაცხადოს 15 მილიონიანი ებრაელობა ერთეულ, განუყოფელ ნაციით და ჩართულ იქნეს ის სხვა ერთა კონაში. ბოლო უნდა მოეღოს იმას, რომ ამა თუ იმ მხარეში სცნონ ყველა

ერები გარდა ებრაელებისა და ეს უკანასკნელი კი მიღებული იქნენ, როგორც რელიგიური ჯგუფები. ამ განუყოფელ მსოფლიო ებრაელობის წარმომადგენელს უნდა ექნეს თავისი ადგილი კონგრესზე. ვერც, ყველთა მველი თავისი კულტურით, რომელსაც ჰყავს თავისი საუკეთესო წარმომადგენელი მცენიერების ყველა დარგში, ხელოვნებაში, ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობაში, - შეუძლებელია არ ექნეს მას წარმომადგენლობა იქ, სადაც იქნებიან წარმომადგენლები უფრო მკორე და კულტურულათ სუსტი ერებისა.

ეს ჩვენი მოთხოვნაა უნდა იქნეს კუმოუგდებლათ, დაუბრუნებლათ.

შეიძლება ბევრს აწუხებდეს ის საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევნები ჩვენი წარმომადგენლების კონგრესისთვის. ეს არის საკითხი არა პრინციპიალური, მხოლოდ ტექნიკური, რომელიც არაფერს სიმძლავს არ წარმოადგენს. ყველა კუთხის ებრაელობა ამოიჩვენებს თავის წარმომადგენლებს, რომლებიც გამგზავრებიან იმ ქალაქში, სადაც კონგრესი იქნება და თავიანთ შორის ამოიჩვენენ საჭირო რიცხვს წარმომადგენლებისა კონგრესისათვის.

ჩვენი წარმომადგენლების პირველ მოთხოვნაზე კონგრესზე იქნება: დაბრუნება ებრაელი ერისათვის თავისი საკუთრების, თავისი სამშობლო პალესტინისა. ეს სამშობლო წაართვის ებრაელობას ეხლანდელი ევროპის სულიერმა წინაპრებმა და თუ კი შეიძლება მსოფლიო კეშმარიტებაზე ლაპარაკი, ამ ქეშმარიტების პირველი მოთხოვნა უნდა იქნეს არა თუ ებრაელი ერის აღორძინება, არამედ აგრეთვე დაბრუნება თავისი ტერიტორიისა. აქ არას ვიტყვით და ძნელიცაა, რაიმე გადაჭრით ითქვას პალესტინის მომავალ სახელმწიფოებრივ ფორმებზე, მხოლოდ ერთი რამ ცხადია: სათათრეთის ყოფილი პრ. ვინცია უნდა გარდიკცეს ერეც ისრაელათ.

სამშვიდობო კონგრესში უნდა განუ-

ხალხ ებრაელებს: თქვენი ისტორიული იდეალი განხორციელდებულა, წაღით იუფლეთ თქვენი ქვეყანა!..

მაგრამ, თუმცა ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ჩვენი ქვეყნის აღორძინება, ჩვენ არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ მეორე ტაძარის (ბაითშენის) დროსაც ებრაელებს უკვე ჰქონდათ უდიდესი კოლონიები მაშინდელ ყველა კულტურულ ქვეყნებში. და ეხლაც ჩვენ გვჭირა არა გვაქვს, რომ, როგორი სისწრაფითაც არ იწარმოოს პალესტინის კოლონიზაციამ, რამდენათაც დიდი არ იქნეს ემიგრაცია, მაინც ბევრი ებრაელები დაჩნებიან სხვა და სხვა კუთხეებში. ამისათვის, თუმცა ჩვენი სახელმწიფოებრივი აღორძინების იდეალი გრანდიოზულია თავისი სიღამაზით, ჩვენ ვერ დავივიწყებთ აგრეთვე, თუმცა უფრო მკორე, მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებო ინტერესებს ებრაელებისა პალესტინის გარეთ. კონგრესმა ბოლო უნდა მოუღოს იმ სამარცხვინო მოვლენას, რომ ეხლაც არსებობენ ისეთი კუთხენი, სადაც ებრაელობა განსაზღვრულია თავის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებში. თუმცა ამ ქვეყნებში ებრაელთა რიცხვი შედარებით მკორეა, მაგრამ ამით, რომ დანაშაულობა არ მკორდება. ასეთი ქვეყნები არის ოთხი: „დემოკრატიული“ ფინეთი; დარბაისლები რუმინეთი; აბსოლიტური მაროკო და ანარქიული სპარსეთი.

კონგრესმა მრისხანეთ უნდა მოითხოვოს რომ დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ებრაელთა უფლებების შეზღუდვას.

დაბოლოს, ყველგან, სადაც ცხოვრობენ ებრაული მასები, მიეცეთ, როგორც სხვა ეროვნულ უმცარესობას, ეროვნულ-პერსონალური ავტონომია. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აი ის მოთხოვნაა, რომელსაც ჩვენ ვაჯავშირებთ სამშვიდობო კონგრესთან.



ეს საკითხები გრანდიოზულია, გრანდიოზული ძალა საჭირო მათი ცხოვრებაში გასატარებლათ, მაგრამ, ჩვენ გვწამს, რომ ებრაელობა, რომელიც გამოიჩინა საარაკო ძალა თავის არსებობისათვის, მოიპოვის საჭირო ძალას აგრეთვე თავის აღორძინებისათვისაც.

„აგუდათ ისრაელის“ მიზანი და მისი საშუალებანი“.

(გაგრძელება.)

ესხა სანამ ჩვენ შეუდგებოდეთ ქუთაისის „აგუდათ ისრაელის“ არსებობას, როგორც მიმდინარეობას საქართველოს ებრაელობაში; სანამ შეუდგებოდეთ მის მოღვაწეობასა და მის მიერ ხმარებულ საშუალებებს თავის მიზნის მისაღწევად, უადვილო არ იქნება მოკლეთ აღწერათ ის შეგნებული აზრთა სხვადასხვაობა, ის იდეური რევოლუცია რომელიც ამ უკანასკნელ წლებში წარმოებს საქართველოს ებრაელობაში.

მხოლოდ ებრაელობის ეროვნული განთავისუფლებისა და კულტურულ მოძრაობაში, თუმცა ძალიან გვიან, დაბოლოს ჩვენამდისაც მოაღწია. ებრაელთა შორის ეროვნული თვით შემცნების ნიადაგზე გრანდიოზული მოძრაობის ტალღებმა გამოაფხიზლა გალუთის წყვილადში ნახევრად ჩახრჩობილი საქართველოს ებრაელობაც და მოჰფინა მას სიცოცხლის სხივები. ამ ეროვნული თვით შემცნების პირველ მერცხალს ჩვენში გაუმასპინძლდნენ, სწორედ ისე როგორც სხვა ქუთაისის ებრაელობაში ასეთი იდეური რევოლუციის დროს და, სხვათა შორის, ამგვარად, სრულიათ ანოლოგიური და ნორმალური ის პარტიათა და ჯგუფთა ბრძოლა ამ ეამად ჩვენში, რამდენადაც ის ყველაფრით წაჰგავს რუსეთ-ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ებრაელთა მოძრაობას.

ნ. მ., „ხმა ებრაელისა“ № 6-7.

რა უპიკანია და, რას მოჰვლით პალესტინაში.

ებრაელთა პალესტინაში დასახლების და კოლონიზაციის ისტორია იმდენათ თავისებურია, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება შევადაროთ, რომელიმე სხვა კოლონიზაციას. ვრი, რომელიც ერთ დროს წარმოადგენდა გლეხებისა და მწყემსების ერს; მტრის მიერ მოგლეჯილი მშობელ მიწას, დაფანტული მთელ დედა მიწაზე, სადაც, სულის შემსუთავ კანონების წყალობით მოკლებული იყო მიწაზე მუშაობის საშუალებას, იძულებული გახდა თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის, გარდაქმნილიყო ვაჭრებათა და მაკლერებათ.

18 საუკუნის სამშობლოს გარეთა და ისეთ წარმოუდგენელ საშინელ პირობებში არსებობამ, რომლის მსგავსი არ იცის არც ერთმა ერმა მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ებრაელთა ფსიქოლოგიაში მოხდა ღრმა ცვლილებანი: მისთვის უცხო რამედ გარდქცა მიწა და ყოველივე, რაც კი ეხება მიწას; ებრაელობამ დაჰკარგა არა თუ სადა გემოვნება და იდეალები მებაღისა, არამედ თვით აზროვნება, მსჯელობა და კონსერვატიზმი გლეხისა და დაუთმეს ადგილი დაჟინებულობას, უდიერობასა და იმპულსივობას, რომელიც სრულგვით მოუთავსებელია ნაყოფიერ მიწისა მუშავებისათვის. და აი, სწორედ ამამა უმთავრესი მიზეზები სხადანსხვა კოლონიზაციური ექსპერიმენტების უნაყოფიერობისა, რომელიც სცადეს ებრაელობაზე არგენტინაში, ბრაზილიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი სიძნელენი და გასაკვირი უნდა გადავლახნათ

თავი იჩინეს თუ არა ჩვენში ეროვნული აღორძინების პირველმა სიმპტომებმა ჩვენი ეროვნული განწყობილ ახალგაზრდა ინტელიგენციის სახით. მაშინვე თავი წამოყვეს აგრეთვე: **ორტოდოქსებმა** თავიანთი რელიგიური უკიდურესი ფანატიზმით; **ას სიმბლიატორებმა** თავიანთი გადაშვარებული შხამით და მოსოცილისტენმა, ფართო ბასსა კი, თუმცა ნელ-ნელა თვით-მოქმედებისაკენ მიიღტვის, ჯერ კიდევ ინდიფერენტისმით უფრო არის გაქლენილი.

პირველათ ორტოდოქსებმა გამოვიდნენ, როგორც უორგანიზაციო მებრძოლნი სიონისტების წინააღმდეგ, რომლებიც შეუდგნენ კულტურულ მუშაობას.

მხოლოდ შემდეგ, ქუთაისის ებრაელთა შორის მცხოვრებ რუსეთის ებრაელთა ორიოდე ორტოდოქსების ზედგავლენითა და მათი ინიციატივობით შეკავშირდნენ — 10 20 კაცის სახით და დაირქვეს სახელი „აგუდათ ისრაელი“.

წერილი ცოტა გაგრძელებული გამოვიდის და ამიტომ ბევრს არ შეგჩრდებით ამ კავშირის გამოვლის ანუ პრეზიდუმის შემადგენლობაზე, რომელიც წარმოადგენს მსხვილ ვაჭრებსა და რამოდენიმე სასულიერო პირებს ვინმე **ლევიტის** მეთაურობით. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ არავითარი საერთო კრებები, და საზოგადოთ, არაფერი იმის მგზავრი აქ არ ყოფილა, რაც საჭიროა ყოველთვის საბჭოებისა და პრეზიდუმების შესაქმნელათ. მათ მხოლოდ ახასიათებს მტრობა ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციისადმი, რომელიც უპირველესად ყოველისა მიიღტვის საქართველოს ებრაელობის კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ისინი ხედავენ სიონისტებში თავიანთ მტრებს და სწორედ არც სცდებიან.

სიონისტები, როგორც ეროვნული

ბევრნაირ ჯგუფებს სტუდენტებისა და სხვა „მეგობრებს სიონისას“ („ხობებე სიონ“, რომლებიც წარსული საუკუნის 80-ან წლებში დასაწყისში გარდაესხლენ პალესტინაში ახალშენების დასაარსებლათ. ადვილი წარმოსადგენია თუ, როგორ პირობებში მოუხდებოდათ მუშაობა ამ პიონერებს პალესტინაში, თუ წარმოვიდგენთ ერთის მხრით, რომ მათ არ ჰყავდათ არავითარი გამოცდილი ხელმძღვანელი, თვითონ კი არავითარი ცოდნა არ ჰქონდათ მიწის ამუშაებისა და, მეორეს მხრივ იმ ადმინისტრაციულს, ჰიგაენურსა და სხვა შაშინელ პირობებს, რომლებშიდაც იმყოფებოდა იმ დროს პალესტინა.

ერთად ერთი ელემენტი, რომლითაც მათ შეეძლოთ ესარგებლათ და მაგალითი აეღოთ ეს იყო არაბი. საუბედუროთ, ფელახები მიწის ამუშაების პრინციპათ სთვლიან, რომ ცოტა ძალა და მუშაობა დახარჯონ და ბევრი მოსავალი გამოატანონ მიწას. არაა საჭირო ექსპერტობა, მის გასაგებათ, რომ საუკუნეთა განმავლობაში მიწის ასეთმა ექსპლოატაციამ არაბების მიერ, ძალიან ცუდათ იმოქმედა ერთ დროს პალესტინის საუკეთესო ნაყოფიერ ნიადაგზე, თუმცა მოსავალი ყოველთვის საკმაო იყო არაბებისთვის, ვინაიდან მათი მოთხოვნილებანი მცირეა. სრულიათ სხვა მდგომარეობაში იყო ჩვენი ებრაელთა ემიგრანტების საქმე, რომელთა მოთხოვნილება საქმელის, სადგომის, ჰიგაენისა და ტანსაცმელის დარგში, მეტი ძნელი იყო დასაკმაყოფილებლათ, ვინემ არაბების. რასაკვირველია, ნიადაგისა და, საერთოთ, მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ცოდნა და კაპიტალი, ჩვენს ემიგ-

კულტურის, თვითმოქმედებისა და სწავლა-განათლების დროშის მატარებელი, გულგრილათ ვერ უყურებენ მათ, რომლებიც არიან საქართველოს ებრაელობის ყველა უბედურების უმთავრესი მიზეზი; სიონისტებს არ შეუძლიათ არ ებრძოლონ ისეთ მეგობრებს ხალხის სიბნელისას, ისეთ მტრებს საზოგადოებრივობისას, როგორიც არიან ბატონები „აგ. ისრაელის“ ბანაკიდან.

მაგრამ ჩვენარ ვიბრძვით, არ მიგვაქვს იერიშები „აგ. ის.“- ის როგორც მიმდინარეობის, არსებობის წინააღმდეგ, ჩვენ ვებრძვება „შეტაკება“ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მიერ გადადგმულ რომელიმე ნაბიჯს „აგ. ის.“ ებრძვის ხოლმე. და ესხა ჩვენ გვიანდა ნათელვიყოთ, რომ „აგ. ისრაელის“ მიერ ხმარებული საშუალებანი ჩვენ წინააღმდეგ არის პირდაპირ ბრძოლა იმ რელიგიის წინააღმდეგ, რომლის სახელითაც ისინი გამოდიან და ამით ის არა თუ ვერ უწყვეს საშხაზურს „აგ. ის.“ მიზანს—ხალხში რელიგიისადმი პატივცემის გაძლიერებასა და თორის გავრცელებას, არამედ არცხვენს „აგუდათ ისრაელის“ სახელს.

აი, როგორ ებრძვის ქუთაისის „აგ. ის.“ სიონისტებს: სარგებლობს რა ის საქართველოს ებრაელთა მასის შეუგნებლობით, ხალხს უტყდაქებს, რომ სიონისტებს უნდათ ჩვენი გაქრისტიანება; მათ სურთ ჩვენში თორა დაიკარგოს, მათი პროგრამა ჩვენმა შეილება ქრისტიანების ქალები შეირთვანო, მათ უნდა თქვენ „ტარეუა“ ექვამოთო და სხვ. განა შეიძლება ითქვას, რამდენი სულიერი სიბინძურებასათ „ქადაგებებში“?.

სრულიათ რუსეთის ებრაელთა ყრილობის არჩევნების დროს „აგ. ის.“ გამოვიდა ცალკე სიით და თუმცა მან მშვენიერათ იცოდა, ეს ყრილობა რისთვის უნდა ყოფილიყო მოწვეული, მაინც ხალხი დაარწმუნა რომ ყრილობაზე გადასწყდება

რანტებს კი, არ ჰქონდათ არც ერთი და არც მეორე; მიწისა და სადგომის შეძენის შემდეგ მათ აღარ დარჩენიათ რა და, როდესაც პირველი და მეორე წლის მოსავალი ვერ ასახლოვა მათი ოჯახები, მაშინ კოლონიტები დარწმუნდნენ, რომ მათ მუშაობაში რაღაც შეცდომაა. ძალიან უხერხულსა და ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, დახმარება არსაიდან იყო.

„ხობებე ციონის“ მოძრაობა რუსეთში ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და არ მოეძებნებოდა იმდენი ღონისძიება, რომ საჭირო დახმარება აღმოეჩინა პალესტინის პიონერთათვის, და დასავლეთის ებრაელობაში კი ჰერცლის გამოსვლამდის არც იცოდა ერთი ზუჯა პიონერების არსებობაზე, რომელთაც გარდაეწყვიტნათ დავლოთ დასაწყისი ებრაელობის ავტონომისიაციისათვის თავის ისტორიულ სამშობლოში.

აი ასეთი კრიზისის დროს, 1884 წ., მოულოდნელათ გამოჩნდა **ბარონ როტშილდი**, რომელსაც შემთხვევით გაეგორა საშინელი მდგომარეობა ებრაელთა ემიგრანტებისა პალესტინაში, გაგზავნა ექსპერტები, რომელთაც დაავალა, შესწავლა და გამორკვევა კოლონიტების ცუდი მდგომარეობის მიზეზებისა. შემდეგ ბ. როტშილდმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ოთხი კოლონია და აღმოუჩინა მათ ყოველგვარი დახმარება.

ამის შედეგები ის იყო, რომ კოლონიტებმა, რომლებსაც უკვე ჰქონდა საჭირო ტენიკური მასალები და ხელმძღვანელები, მოკლე ხანში ააყვავეს თავიანთი კოლონიები, გაანეთარეს მებაღეობა და „რიშონ ლე ციონში“ (კოლონიის სახელი) დაარსდა საუკეთესო ხარისხის ღვინის მარნები. იმავე დროს შეუდგნ

რელიგიური საკითხები და სრულგვით თვალბი აუხვია ხალხს. ჩვენი ღირსების დამცირება იქნებოდა რომ აქ ავწეროთ ყველა ის საშუალებანი, რაც „აგ. ის.“-ის წარმომადგენლებმა იხმარეს არჩევნების დროს.

უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ რომ „აგ. ის.“-ლი სიონისტების საწინააღმდეგოთ შეერთდა ჩვენ ასსიმბლიატორებს და ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობდნენ მათთან, ვინც უარ ყოფა ჩვენს წარსულს და მომავალ, ვინც ჩვენ, საქართველოს ებრაელებს, სხვა ერის ღვიძლ შეილებს გვეძახის განა ეს არ ჰგვას იმას, რომ იეფილინა დაიწეროს უწმინდური პირუტყვის ტყავზე? განა ეს არ არის შერცხვენა „აგ ისრაელის“ არსებობის და თვით რელიგიის შეურაცხყოფა?

(დასასრული იქნება).

ემეთ.

შესაგა განთავისუფლება

ჩვენ ისტორიას, რომელიც საესეა გამოცანებით და სასწაულებით, მივმატა კიდევ ერთი გვერდი: ამ ომში „ნახევარ მთვარესა“ და „ჯვრის“ შუა აღმობრწყინდა მზე დავითის ფარისა. ჯვაროსანთა ომების შემდეგ შუა საუკუნეებში რომელთაც გადაგვაქციეს ჩვენ ევროპის ყველა ქვეყნებში მიიის მტრათ, დადგა ჩვენი დროის „ჯვაროსანთა“ ომი და სიონის ძველ მთაზე აფრიალდა ებრაული სახელმწიფოს ძველი დროშა. ჩვენი წინაპრები ამობდნენ, რომ ებრაული განთავისუფლება და მეწის მოსვლა მოხდება გოგის და მაგოგის საშინელი ომის შემდეგ. ვერავითარი მდიდარი ფანტაზია ვერ გამოხატავდა მეტს მკაცრსა და საშინელს ომს, რომელიც სწარმოებს ჩვენი თვალის წინ. ვინ იფიქრებდა, რომ კოლონიზაციის ტანჯვა მოაღწევდა ასეთ სამშლვარს? ჩვენი წინაპრები თავისი

რამოდენიმე ახალი კოლონიების აშენებას.

მეყურძნებოდა იმდენათ განვითარდა და დიდს მოსავალს იძლეოდა რომ მალე ყურძნის ფასი დაეცა და გლეხები ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნენ. მაშინ როტშილდის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა, რომ კოლონიტებიდან თვითონ ეყრდნა ღვინო კაი ფასებში. მაგრამ, ყურძნის მოსავალი თანდათან მატულობდა, როტშილდის ადმინისტრაცია კი, რომელიც ყიდულობდა მთელ მოსავალს და ყიდდა ევროპაში, დიდს დეფიციტს (ხარალს) ღებულობდა მაშინ. ბ. როტშილდი დარწმუნდა, რომ ასეთი წესით მუშაობა შემდეგში შეუძლებელია, რომ საჭიროა რადიკალური რეფორმები. მხოლოდ რეფორმების შედეგები მაშინ იქნებიან სასურველი, თუ ეს ორგანიზაციულათ მოწყობილი.

ამ მიზნისათვის მან მიმართა ებრაულ კოლონიზაციურ საზოგადოებას („EKO“) და დასდო მასთან ხელშეკრულება, რომლის ძალით „ეკო“-მ მიიღო თავის თავზე პალესტინის კოლონიების ორგანიზაციულათ მოწყობა.

იმ ხარალიდან თავიდან ასაცილებლათ, რომელიც დაკავშირებული იყო კოლონიებში მხოლოდ ერთი დარგის—მევენახეობის—განვითარებასთან, „ეკომ“ იყიდა კარგი მიწა, სპეციალურათ მოგვარებული პურის მოშენებისათვის. იმავე დროს ჰმშ მევენახესაგან დაარსდა ცნობილი სინდიკატი: „კოოპერატიული საზოგადოება ღვინის დიდი მარნებისა რიშონ ლეციონსა და ზახრონ - იაკობში.“ ამ სინდიკატი დაარსდა სპეციალური საზოგადოება ღვინის გასაყიდათ „ქარმელ“-ის სახელწოდებით, სხვა და სხვა ქვეყნებში საავენტურებით.



პირას, 22 დეკემბერს დილის ათ საათზე შესდგება

ქუთაისის სიონისტთა საერთო კრება. ადვოკატის ქუჩა № 8 სიონისტთა ბიურო

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენება ახ. ს. ციციანიშვილისა შემდეგ თემაზე: **მარაზულ სახელმ.** **წიფობარძოვის გზაზე.**
  2. სარევიზიო კომისიის ანგარიშები.
  3. ბიბლიოთეკა.
  4. პარტიული ორგანიზ.
  5. პარტიული გარდასახადი.
  6. VARJA.
- ამხანაგებს სთხოვენ არ დაივიანონ. კრება არ გადაიდგება.

ბუნებრივი ინსტიტუტით გრძნობდნენ იმ უდიდეს ტანჯვებს, რომელიც მოვლოდა კაცობრიობას განთავისუფლების წინ მათ ემინოდათ და არ უნდოდათ ენახათ თავიანთი თვლით ის სისხლით წარღვნი, რომელმაც გადაარეცხა მთელ ქვეყანას, კაცობრიობის ქუჩებიდან გასწვინდათ. „და აიღებს ხელს ძმა ძმაზედა და მე დავსჯი მათ შიმშილით, სისხლით, ქუხილით... სიბნელე მოიძვავს ქვეყანას და დადგება ღრუბლიანი დღე;“

გამოჩნდება ერი, რომლის მგზავსი არ ყოფილა და არ იქნება, რომლის წინდა უკან ცეცხლი ანათებს; მის წინ არის მიწა, ვით ბალი ედემისა, მის უკან—ტიტველი უდაბნო!.. და ჩვენ მათი შთამომავალი მოწმენი ვართ ჯოჯოხეთისა რომელშიდაც ეხლა იმყოფება კაცობრიობა, რომელიც ცურავს სისხლში იმ ცოდვებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ერების წინაშე, ეს არის „შენდობის თხა“, რომელიც მიაქვს კაცობრიობას თავისი ცოდვების შესანდობათ. არ დაწყნარდება სისხლი ჩვენი ერის „უკვდავი ზახარიასი“, სანამ ის არ იქნება გამოსყიდული. ასეთია ისტორიის სამართალი.

ის რომი, რომელმაც ააოხრა იერუსალიმი ეხლა იღებს მონაწილეობას მის აღორძინებაში. ქრისტიანული მსოფლიო, რომელსაც ეშაფოტზე მიყავდა ჩვენი შვილები, ეხლა გამოგვიწოდა ჩვენ დახმარების ხელი. „ერები და სახელმწიფოები განახლებენ თავიანთ ცხოვრებას; დადგება დიადი დღენი, დღენი ჯვაროსანთა ომებისა, მაგრამ არა დასარბევით და მსხვერპლების გასადიდებლათ, არამედ მისთვის რომ დაუბრუნონ ებრაელის მისი უფლება და ღირსება.“

**ერები იძულებულნი იქნებიან ეს ქნან, თუ ისინი იფიქრებენ მომავალზე და მიაქცევენ ყურადღებას იმ გზას, რომლითაც ისინი მიდიან. ისრაელი დაუბრუნებდა თავის ქვეყანაში პოლი-**

მაგრამ, თუმცა ბ. როტშილდმა და „ეკო“-მ ბევრი სარგებლობა მოუტანეს კოლონიებს, — მათი ბიუროკრატიული ფილანტროპიის ატმოსფერო, რომელშიდაც გატარებული იყო მათი მუშაობა, არა სასარგებლო აღმოჩნდა მორალური თვალსაზრისით. ასეთმა ფილანტროპიულმა დახმარებამ ლამის იყო ჩააქრო კოლონიების გულში ის დიადი იდეალური მისწრაფებანი, რომლებითაც მიიღებოდნენ ემიგრანტები პალესტინაში. შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომ, თუმცა კოლონიების მატერიალური მდგომარეობა კარგი იყო, მაგრამ მომავალ ემიგრაციას სერიოზული ხიფათი მოელოდა. ამ დროს სცენაზე გამოჩნდა სიონისტთა ორგანიზაცია.

1903 წ. სიონისტთა ორგანიზაციამ დაარსა ინგლის-პალესტინის ბანკი (Anglo-Palestine Co.), რომელმაც გახსნა თავის პირველი განყოფილება იაფაში და მიიღო თავის თავზე მეტათ მწელი მისისია; კოლონიების ეკონომიურათ აღზრდა. ბანკმა შესძლო მოეწყო პალესტინაში თანამედროვე წესის კრედიტი: მოაწყო მოკლე ვადიანი სესხი, უზრუნველყოფილი საქონლითა და ვექსილით; დიდ ვადიანი სესხი, უზრუნველყოფილი ყანების მოსავლითა და სახლების შემოსავლით და აგრეთვე დაარსა კოოპერატიული კრედიტის საზოგადოებანი. ამ გვარად ბანკმა მოკლე ხანში ააყვავა ფინანსური მდგომარეობა კოლონიებისა და კოლონიისტების.

ბანკის დაარსების შემდეგ იაფაში გაიხსნა სიონისტთა ორგანიზაციის პალესტინისტიური და თავის პასუხის მგებლობის ქვეშ ასრულებდა ისეთ საქმეებს, რომლებსაც სხვა ქვეყნებში ასრულებს მხოლოდ შიშაგრობა.

ტიკურ დიდებას და ემსახურება ჭეშმარიტებას — ასეთია მომავალი ერები სა“.

ჩვენ გვეგონა, რომ მხოლოდ ლორდ-ბიკონსფილდი, რომლის ძარღვებში სჩქედდა ებრაული სისხლი, ათქმევინებდა ტანკრედს ასეთ სიტყვებს. მაგრამ, როდესაც მოიგონებთ სიონისტურ ლიტერატურას, დაწერილის გამოჩენილ ქრისტიანების მიერ, მაშინ უნებლიე ფიქრობთ: შეიძლება შემთხვევა არ არის ის, რომ მათი შთამომავალი, ვინც ჩვენ ინკვიზაციის ცეცხლში გვწვავდნენ, ეხლა მათი მონანიებული ფიქრებს მიმართულია ებრაელთა სამშობლო აღდგენისაკენ.

მათ უნდოდათ დახმარებოდნენ ერს არა შედეგების გასწორებით, არამედ თვით იმ მიზეზების აღმოფხვრით, რომელმაც რწვევდა ზიზლსა და სიძულვილს ებრაელ ერისადმი დემბრუნებინათ მისთვის მისი სიღიადე სხვა ერთა შორის. ფრანგი ერს ლაგარანი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც დადგეს აღმოსავლეთის საკითხი ასეთ ნიადაგზე, ოსმალეთის პირველ დამარცხების შემდეგ ბალკანეთის ომის დროს, როდესაც ოსმალთა პოლიტიკური მდგომარეობა შეირყა.

ისტორია კიდევ განვითარდება და თქვენ მას დასწვრთ თქვენ შექმნილი ხართ მხოლოდ დიდებისათვის. უფალმა

ასეთისულიერი განწყობილება და ეროვნული აღორძინების ელფერი დავლო არა მარტო კოლონიისტებსა და მუშებს, არამედ მთელ პალესტინის ებრაელობას მოედო აღორძინებისა და ახალი, ეროვნული სიკაცხის სხივები და სიონისტთა ორგანიზაციის გავლენის ქვეშ მოიქცნენ. „Alliance Israélite“ ასიმილიაციურ მოღვაწეობას ბოლო მოედო და პალესტინაში ყველა ებრაულ დაწესებულებებსა და სასწავლებლებში „სიონიზაცია“ გაატარეს.

საყურადღებოა აგრეთვე ასეთ მოკლე ხანში თვით კოლონიისტების მატერიალურათ წარმატებაც. ამის მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ ყველა დარგის მოღვაწეობაში. როგორც ვიცით, პალესტინაში მიმოსვლა ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო, გაყვანილი გზების უქონლობის გამო. ეხლა კი ებრაელებმა იქ გაიყვანეს ბევრი ახალი გზები და გაასწორეს ძველი, გაფუჭებული; დარგის მრავალი ასი ათასი ზე და გააუმჯობესეს ჰიგიენური მდგომარეობა; მოსპეს მრავალი სპეციალური ავთომოფობა. ვინაიდან მთავრობა არ ერეოდა მათ შინაური საქმეების მოწყობაში, ებრაელებმა თვითონ მოაწყვეს კოლონიებში თავიანთი მილიცია (შობრიმ) და სასამართლო. ამ მილიციის მოღვაწეობა იმდენათ ენერგიული იყო, რომ იაფის გვერდით არსებულ კოლონია სარონას გერმანელ კოლონიტებმა ებრაულ მილიციას მიანდეს თავიანთი სოფლებისა და ყანების დაცვა. შეიძლება კიდევ აღწერა ებრაელების მიერ აშენებულ თელ-ავივისა და სხვა პატარა ქალაქებისა, რომელნიც წარმოადგენენ ევროპიულ სისუფთავისა და ჰიგიენის ნიმუშს; შეიძლება აღწერა ებრაული ადმინისტრაციული მარაგელო-

ბისა და სხვა. მაგრამ, შეუძლებელია შევჩერდეთ პალესტინის ყველა დარგის მოღვაწეობაზე საგაზეთო პატარა წერილების საზღვრებში, მით უფრო რომ ერთეული ფაქტები მეტი საყურადღებოა, ვინემ თვით ტენდენცია და განწყობილება. ამიტომ საკმარისი იქნება აქ მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი ტენიკურ წარმატებისა.

ებრაელები პალესტინის კოლონიებში მეტს ასწრებენ და მათი მუშაობა გაცილებით მეტი ნაყოფიერია, ვინემ სხვა ქვეყნის კოლონიებში (მაგ. არგენტინაში) და სანტერესოა, რომ ებრაელები მეტს უნარს იჩენენ მიწის მუშაობაში, ვინემ რომელიმე სხვა დარგში.

რამდენათ ნაყოფიერია მათი მუშაობა მიწის შემუშავებაში, ვაჩვენებს მათი ყანებისა და არაბების ყანების შემოსავლის შედარება. ერთი აკრის პური (ქერი და ხორბალი) არაბებს ეძლევა ომამდის, დაახლოვებით, ათ მანეთს, ებრაელთა კოლონიებში კი ერთი აკრი იძლეოდა 20—30 მანეთს და მეტსაც. ერთი აკრიდან 350 ყუთი ფოთოქალი არაბებისთვის ითვლება საუკეთესო მოსავლათ, ებრაელების ფოთოქლის ბალები კი ერთი აკრიდან იძლევიან 40—50% მეტს და 1914 წ. ებრაელებმა მიიღეს ერთი აკრიდან არა ნაკლები 757 ყუთისა. არაბების ვენახები იძლევიან ერთ აკრზე არა მეტს 60—70 მან. ებრაელი მებანდნი. კი ერთ აკრზე იღებდნენ 120—130 მანეთს.

სანტერესოა, რომ ამ ბოლო დროს ფელახები ახალი პლანტაციების მოსაწყობათ. ებრაელ კოლონიტებს ქიარაობენ. (გაგრძელება იქნება)

თქვენ ამოვირჩიათ სამი ქვეყნის შექმნისათვის, ერთა შორის განათლების გავრცელებისათვის, თქვენ იქნებით შთამავლები ევროპისა და შორეულ აზიის შორის. თქვენ შეხვალთ თქვენი მამების ქვეყანაში დაქანცულნი, სადაც თქვენ სრულიათ განიკურნებით“.

„ამას არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევს. ებრაელებს უფლება აქვთ გააფართოვონ თავის ქვეყნის ფარგლები. სუცერს არხიდან სმირნის ნაპირებამდის. საუკუნოთ ხომ არ იბრძოლებენ ერები.“

ვაჟა ცოტა ხანი და შეწყდება მსოფლიო ომი, აღარ იქნება თოფები და ზარბაზნები და ხალხს აღარ გააგზავნიან, ვით პირუტყვებს სასაკლავოზე. მაშინ ბრძოლის მიმდრები ვადაიქცევიან ყანებათ და ევროპიული მრეწველობა გავრცელდება მთელ მსოფლიოზე“ ასეთი აზრები გამოსთქვა უდიდესმა ქრისტიანმა პოლიტიკოსმა. აქ თქვენ შენიშნავთ ზნეობრივი შეხედულებათა დაკავშირებას, რომელიც გამოსთქვა ტანკრედმა, პოლიტიკურ მოსაზრებასთან რომელზედაც აშენებულია პალესტინის ნეიტრალიზაციის იდეა.

ტიტანიური ბრძოლა ისლამსა და ქრისტიანობის შორის უნდა დაასუსტოს

სიონისტურ ბიუროს ანგარიშს უწევდნენ, როგორც კოლონიისტები ისე ოტომანის მთავრობაც. კოლონიისტები შეეჩვიენ ყოველ იურიდიულ ადმინისტრაციულ შემთხვევაში მიქცეულიყვენ სიონისტთა ბიუროსთან და მთავრობა უყურებდა ამ ბიუროს, როგორც პალესტინის ებრაელობის ფაქტიურ წარმომადგენელს. სიონისტთა ორგანიზაციამ კოლონიებში და თვით ქალაქებშიდაც გააჩაღა სრული ადგილობრივი ავტონომიური ცხოვრება. შემდეგ პალესტინაში დაიწყო მუშაობა აგრეთვე ეროვნულმა ფონდმა („კერენ კიმეთ ლეისრაელ“) და პალესტინის მიწათა მომწყობ კომპანიამაც, რომლებზედაც ზედამხედველობდა სიონისტთა ორგანიზაცია.

ყველა ამ სიონისტური დაწესებულებების მუშაობამ სულ მოკლე ხანში სრულიათ შესცვალა ის მძიმე ატმოსფერო, რომელიც მეფობდა კოლონიებში. აინათა ეროვნული ენტუზიაზმი, სკეპტიციზმმა და უიმედობამ დაუთმო ადგილი მომავლის იმედსა და რწმენას. კოლონიტებმა დაინახეს, რომ ისინი განდგნ მსოფლიო მოძრაობის, ეროვნული აღორძინების პიონერებათ, რომელიც მხოლოდ უცდის თავის დროს და მიდის გარკვეული გზით სიონისკენ. ამ დიად მნიშვნელოვანი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული შედეგების დაწვრილებით აღწერა მოითხოვეს ბევრს დროსა და ადგილს, რომელიც ამ ყამად ჩვენს განკარგულებაში არ არის, საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ. ის საოცარი, შესამჩნევი აღორძინება ებრაული ენისა პალესტინაში, ის ძლიერი პოზიციის, რომელიც დაიჭირეს კოლონიტებმა და აგრეთვე ფინანსიური მსხვერპლი, რომელიც მიჰქონდათ მათ ებრაული ენის აღორძინებისა და დასაცავათ.

სიონისტური ბიუროს ანგარიშს უწევდნენ, როგორც კოლონიისტები ისე ოტომანის მთავრობაც. კოლონიისტები შეეჩვიენ ყოველ იურიდიულ ადმინისტრაციულ შემთხვევაში მიქცეულიყვენ სიონისტთა ბიუროსთან და მთავრობა უყურებდა ამ ბიუროს, როგორც პალესტინის ებრაელობის ფაქტიურ წარმომადგენელს. სიონისტთა ორგანიზაციამ კოლონიებში და თვით ქალაქებშიდაც გააჩაღა სრული ადგილობრივი ავტონომიური ცხოვრება. შემდეგ პალესტინაში დაიწყო მუშაობა აგრეთვე ეროვნულმა ფონდმა („კერენ კიმეთ ლეისრაელ“) და პალესტინის მიწათა მომწყობ კომპანიამაც, რომლებზედაც ზედამხედველობდა სიონისტთა ორგანიზაცია.

ყველა ამ სიონისტური დაწესებულებების მუშაობამ სულ მოკლე ხანში სრულიათ შესცვალა ის მძიმე ატმოსფერო, რომელიც მეფობდა კოლონიებში. აინათა ეროვნული ენტუზიაზმი, სკეპტიციზმმა და უიმედობამ დაუთმო ადგილი მომავლის იმედსა და რწმენას. კოლონიტებმა დაინახეს, რომ ისინი განდგნ მსოფლიო მოძრაობის, ეროვნული აღორძინების პიონერებათ, რომელიც მხოლოდ უცდის თავის დროს და მიდის გარკვეული გზით სიონისკენ. ამ დიად მნიშვნელოვანი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული შედეგების დაწვრილებით აღწერა მოითხოვეს ბევრს დროსა და ადგილს, რომელიც ამ ყამად ჩვენს განკარგულებაში არ არის, საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ. ის საოცარი, შესამჩნევი აღორძინება ებრაული ენისა პალესტინაში, ის ძლიერი პოზიციის, რომელიც დაიჭირეს კოლონიტებმა და აგრეთვე ფინანსიური მსხვერპლი, რომელიც მიჰქონდათ მათ ებრაული ენის აღორძინებისა და დასაცავათ.

შესამე მხარე — ებრაელობა. ებრაელის ერს წილად ზედა შთამავლობა ევროპისა და აზიის შორის, შეიტანოს განათლება უკულტურო ქვეყნებში და დაიცვას ერთი უშესანიშნავესი გასაღებთაგანი ქვეყანაზე — სუეცის არხი.

ცოტა რამ დიდ საქითზე.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კულტურულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ღიდ როლს თამაშობდა ებრაელობა, რომლის წრიდან გამოვიდნენ ბევრი გენიოსები, მთელი რიგი ჩინებული მეცნიერებისა, პოეტებისა, კომპოზიტორებისა, დრამატურგებისა და სხვ. ებრაელ გამოჩენილ პიროვნებათა ყველა ნაწარმოებს ეტყობა ერთგვარი პესნიმიზმი და დიდი მწუხარება. დიდებული ჰენეს პოეზია, რომელიც წარმოადგენს გერმანიის პოეზიის სიამაყეს, განსხვავდება დანარჩენ გერმანელ პოეტებისგან მისი ღრმა სემიტიური, რაღაც საიდუმლოებრივ, მწუხარების ტონით. ასეთ „სემიტურს“ ჩვენ ვხედავთ ებრაელთა გენიოსების სხვა დარგის ნაწარმოებშიდაც; ებრაელი გენიოსები, აღზრდილნი სხვა და სხვა ერის კულტურაზე, გამამდიდრებელი სხვა და სხვა ერების კულტურისა, მაინც ებრაელთა რჩებიან, რამდენათაც მათი ნაწარმოები ებრაული სულითაა გაუნთილი და ეს ფსიქოლოგიურათ გასაგებია. როგორ პირობებშიდაც არ აღიზარდოს ებრაელი, ბევრიც რომ აშალა შინოს თავის თავი, მაინც ებრაელი დარჩება; შეუძლებელია რომ ათას წლობით ებრაულათ ვითარებული აზროვნება, ფსიქოლოგია გადავიარდეს ერთი ხელის დაკვრით... ბევრი გამოჩენილი ებრაელი ასიმილირებულნი იყვნენ, ხალხს განზე უდგენ, ხალხიც მათგან შორს იდგა, მათ არ მიყვებოდა, მაგრამ ისინი მაინც ებრაელები იყვნენ, ებრაული სულით. აი ასეთი მდგომარეობა ჰბადებდა დიდს მწუხარებას ებრაელ გენიოსებში; ინსტიტუტურათ ისინი იმავე სულიერ განწყობილებაში იყვნენ, როგორც თვით ებრაელის ერი.

სიონისტური ბიუროს ანგარიშს უწევდნენ, როგორც კოლონიისტები ისე ოტომანის მთავრობაც. კოლონიისტები შეეჩვიენ ყოველ იურიდიულ ადმინისტრაციულ შემთხვევაში მიქცეულიყვენ სიონისტთა ბიუროსთან და მთავრობა უყურებდა ამ ბიუროს, როგორც პალესტინის ებრაელობის ფაქტიურ წარმომადგენელს. სიონისტთა ორგანიზაციამ კოლონიებში და თვით ქალაქებშიდაც გააჩაღა სრული ადგილობრივი ავტონომიური ცხოვრება. შემდეგ პალესტინაში დაიწყო მუშაობა აგრეთვე ეროვნულმა ფონდმა („კერენ კიმეთ ლეისრაელ“) და პალესტინის მიწათა მომწყობ კომპანიამაც, რომლებზედაც ზედამხედველობდა სიონისტთა ორგანიზაცია.

ყველა ამ სიონისტური დაწესებულებების მუშაობამ სულ მოკლე ხანში სრულიათ შესცვალა ის მძიმე ატმოსფერო, რომელიც მეფობდა კოლონიებში. აინათა ეროვნული ენტუზიაზმი, სკეპტიციზმმა და უიმედობამ დაუთმო ადგილი მომავლის იმედსა და რწმენას. კოლონიტებმა დაინახეს, რომ ისინი განდგნ მსოფლიო მოძრაობის, ეროვნული აღორძინების პიონერებათ, რომელიც მხოლოდ უცდის თავის დროს და მიდის გარკვეული გზით სიონისკენ. ამ დიად მნიშვნელოვანი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული შედეგების დაწვრილებით აღწერა მოითხოვეს ბევრს დროსა და ადგილს, რომელიც ამ ყამად ჩვენს განკარგულებაში არ არის, საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ. ის საოცარი, შესამჩნევი აღორძინება ებრაული ენისა პალესტინაში, ის ძლიერი პოზიციის, რომელიც დაიჭირეს კოლონიტებმა და აგრეთვე ფინანსიური მსხვერპლი, რომელიც მიჰქონდათ მათ ებრაული ენის აღორძინებისა და დასაცავათ.



ხალხის ნიადაგს მოცილებული ებრაე-  
ლი რჩება სულიერათ განდევნილი, მოტირა-  
ლე, როგორც თუ ვინმე თვით რუსის პოეტი  
**ნადსონი**, რომელიც, სხვათა შორის,  
საუცხოვოთ ჩამოგავს ჰინენს. მეცხრამე-  
ტე საუკუნის მოწინავე ებრაელები მხო-  
ლოდ ასიმილიაციაში ხედავდა ისრაე-  
ლის ხსნას, მის დანაწილებას — დაქსაცხვა-  
ში და ამ მიზნით გაძლიერებული იყო  
ემიგრაცია ერთი კუთხის ებრაელებისა  
მეორეში, რომელსაც ხელმძღვანელობ-  
დნ ასიმილიაციური საზოგადოებანი.  
მაგრამ ჩვენ ეხლა ვხედავთ, რამდენათ  
ასეთმა „იდეოლოგიამ“ ისხნა ებრაე-  
ლობა, რამდენათ გაიმარჯვა ასი მილია-  
ციამ ებრაელობაში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუ-  
სეთის ებრაელობა, რომელიც წარმოად-  
გენდა თითქმის უმეტეს ნაწილს მთელი  
ებრაელობისას, ძალიან ჩამორჩენილი  
იყო კულტურულათ დასავლეთ ევროპის  
ებრაელობისგან. იმ დროს, როდესაც  
საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის  
ებრაელობამ წამოაყენა რამოდენიმე გე-  
ნიოსი თანამედროვე კულტურისა,  
რუსეთის ებრაელობა სიბნელესა  
და უმეცრებაში იყო გახვეული და ამას  
ხელს უწყობდა ძველი რუსეთის რეჟიმიც,  
რომელიც იფარავდა ხალხს გარედან  
შემოსულ სინათლისგან.

მაგრამ დაიწყო კულტურული მოძრა-  
ბა რუსეთის ებრაელობაში, რომელიც  
შემდეგ გადიქა მთელი ებრაელ ერის  
ავანგარდათ და მისი ეროვნულ აღორძი-  
ნების სათავეში ჩასდგა. ექვს გარეშეა,  
რომ „დასავლეთის“ ებრაელობამ იქო-  
ნია გავლენა რუსეთის ებრაელობაზე  
კულტურულათ, მაგრამ რუსეთის ებრა-  
ელთა გავლენაც დიდი იყო „დასავლეთ-  
ის“ ებრაელობაზე ეროვნული შემეც-  
ნების დარგში და მალე ამ გავლენამ  
ბოლო მოუღო გერმანეთ-საფრანგეთის  
ებრაელთა შორის ასიმილიაციურ მო-  
ძრაობას. და როდესაც მოხდა რუსეთის  
დიდი რევოლუცია, რუსეთის ებრაელო-  
ბას არ ჩაუდენია ისეთი სამარცხვინო-  
ნო აქტი, როგორც ასი წლის წინათ  
საფრანგეთის ებრაელობამ: დაახწია თუ  
არა თავი რომანოვების ბრძკალებს, რუ-  
სეთის ებრაელობა იქვე შეუდგა თავის  
ეროვნულ აღმშენებლობის საქმეს.

(გაკვეთება იქნება.)

ბ. ი.—შვილი.

### „სიკნო“ ტიფი“ და ებრაე- ლების უგანი.

დადგა ზამთარი და შიმშილი და ჯავ-  
რმა, რომელიც დასტოვა საშინელმა ომ-  
მა, მოიტანა თან ეგრე წოდებული „სი-  
პნო ტიფა“ ანუ, როგორც რუსეთში  
ეძახიან „შვიერი ტიფა“. ეს სნეულება  
ქუთაისში არასოდეს არ ყოფილა აგრე  
ძლიერი, როგორც ეხლა არის. უკვე ებ-  
რაელების უბანში აღმოჩნდა შვიდა ამ  
სნეით ავითყოფი. ამ ავითყოფობას ნი-  
ადაგს უმახადებს უსათუოთ ის სიბნელე  
სიღარიბე ხალხისადა უსუფთაობა რომელიც  
არის საზოგადოთ მთელ ქუთაისში და კერ-  
ძოთებრაელების უბანში. ქალაქის თვითმარ-  
თველობა ამ მხრივ არაფერს აკეთებს, ამას  
ამტკიცებს ქუთაისის ყველა ქუჩები და  
ზედ მოწიწილად ღორები.

ჩვენ აქ არ გვინდა ამ საკითხის გარჩე-  
ვა, მხოლოდ ჩვენი სურვილია განვმარ-  
ტოთ, თუ რა ზომები უნდა მიიღოს ებ-  
რაელთა საზოგადოებამ საშინელი უბე-  
დურების წინააღმდეგ. ყველამ იცის,  
რომ, როდესაც ოჯახში ვინმე ამ სნეით  
დაავითყოფდება, ექიმის მოთხოვნილე-  
ბით უნდა იგზავნებოდეს ბარაკში, ვინა-  
იდან სენი საშინელი გადამდებია. მაგრამ  
ქირისუფალნი ამას ეწინააღმდეგებიან და  
ემუდარებიან ექიმს ავითყოფი სახლში  
დასტოვონ. ექიმი ხშირათ სხვადასხვა მო-  
საზრებით ავითყოფს სახლში ტოვებს,  
მაგრამ ადვილათ შეიძლება ერთმა ასეთმა  
სახლში დატოვებულმა ავითყოფმა მთე-

ლი საზოგადოება მოწიწილად, რომელიც  
მით უფრო ეხლა არის ეს მოსალოდნელი.  
საშინელი სიბნელე სუფევს ებრაელ-  
თა უბანში დიმიტრი ნაკაძის სახლიდან  
დაწყებული მთელი რიონის პირის სავა-  
რით.

საქიროა დაუყოვნებლივ შეიკრიბონ  
მთელი ესრაელთა საზოგადოება, მიიწ-  
ვიონ ექიმები და აგრეთვე ქალაქის სანი-  
ტარული ექიმი და შემდეგ ზომები მი-  
იღონ ხალხის უბედურების თავიდან ასა-  
ცდენათ:

1) რადიკალური გასუფთავება, ნაგვე-  
ბის გადატანა მთელ ებრაელების უბნი-  
დან, განსაკუთრებით რიონისპირათ მიღე-  
ბარე შესახებებიდან; 2) განსაკუთრებულ  
კომისიის მიერ იმ სახლებსა,  
სადაც მოგროვილია მრავალი ღატაკები,  
მაგალითად დიმიტრი ნაკაძის სახლი და  
აგრე წოდებული „შაშუაშვილების“ შესახ-  
ვევი; 3) ჩვენი საზოგადოება ვალდებუ-  
ლია ორგანიზაციული დახმარება აღმოუ-  
ჩინონ ქვირე-ობლებს, ღარიბებს, რომ-  
ლებთა შორის სიმშვილის ნიადაგზე გვე-  
ლდება ყოველ-გვარი სენი;  
ამასთანავე მივაქცევთ ქალაქის ფეით-  
მართველობის ყურადღებას იმაზე, რომ  
ქალაქში აბანო არ მუშაობს და საქიროა  
ზომების მიღება, რომ საქიროთ აბანო  
გაიხსნას და ხალხი გაანთავისუფ-  
ლონ იმ პატარა პარაზიტებიდან, რო-  
მელნიც ავრცელებენ და გადააქვთ ის სე-  
ნი.

კიდევ მივაქცევ ჩვენი. ებრაელთა სა-  
ზოგადოების ყურადღებას, რომ მხოლოდ  
სისუფთავე ტანისა და სადგომისა აგრეთ-  
ვე სასმელი წყლის მოდღებება იხსნის ამ  
საშინელი სენისგან.

ექიმი ბ. კაკიტელაშვილი.

### პალესტინა 8000 მონახლისენი.

ებრაელ „კორსე. ბიუროს“ ატყობი-  
ნებენ შაგიდან, რომ ხარბინიდან გაემ-  
გზავრენ ვლადივოსტოკის გზით 8000  
მონახლისე პალესტინაში ებრაულ ლეგიონ-  
ში ჩასარიცხად.

კოპენჰაგენის სიონისტთა ბიუროს ატყ-  
ობინებენ ტელეგრაფით: „სიონისტურმა  
კომისიამ პალესტინაში დათვლიერა რა-  
მოდენიმე კოლონიები, და მათი მდგომარე-  
ობით კომისია კმაყოფილი დარჩა.

### მივიწიერი მდგომარეობა პალესტინა- ში.

ინგლისელების შესვლის შემდეგ პალე-  
სტინაში გაჩაღდა მუშაობა მივიწიერი  
მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თი-  
თქმის ყველა კოლონიებში და ქალაქებ-  
ში დაარსდა სამკურნალოები და აფთია-  
ქები.  
ყველა ეს დაწესებულებანი, სადაც  
ავითყოფები ღებულობენ წამლების გარ-  
და აგრეთვე სანოვავესა და ტანსაცმელ-  
საც გადაცემულია სათემო ორგანიზაციის  
ხელში და არიან სამხედრო მართველობის  
ზედამხედველობის ქვეშ. ქუჩების გაწმენ-  
და დეველათ ადგილობრივ თვითმართ-  
ლობის გამგეობას. ხარჯებს კი ხურავს  
სამხედრო მართველობა. ამ ჟამად პალე-  
სტინაში არავითარი ეპიდემიური სენი  
არ არსებობს.

დაარსდა აგრეთვე სხვადასხვა დაწესე-  
ბულებანი შობიერობისა და ბავშვთა და-  
საცავათ.

### ქალთა მოძრაობა.

იაფაში დაარსდა ქალთა კავშირი, რო-  
მელმაც უკვე მიიღო მთელი რიგი ზომე-  
ბისა ქალთა ეკონომიური მდგომარეობის  
გაუმჯობესებისათვის. ქალთა კავშირმა  
დაარსა იაფში სახელოსნო, სადაც შემო-  
ღებულია შვიდი საათის მუშაობა დღე  
ში. ამ დღეებში ქალთა კავშირის განყო-  
ფილება დაარსდა ხებრონში, რომლის  
გახსნას დაესწრენ ინგლისის სამხედრო  
წარმომადგენელი.

„ხარაშოთ მეჰაარეცი“ იტყობინება,  
რომ პალესტინაში დაარსდა ორი ახალი  
ქურნალი: „ჰაარეცი ვეჰაყაბოლა“ (მიწა  
და შრომა) და „კალ-ჰასაჰ“ (ხლებალ-  
ლე).

მ. გუტმანის რედაქტორობით იერუსა-  
ლიმში გამოდის ყოველკვირეული ლიტე-  
რატურული ქურნალი.

„მერქაზ შამორი“ მა (მასწავლებელთა  
კავშირი) განახლა გამოცემა მეცნიერუ-  
ლი ქურნალის „ჰახინუხისა“ (აღზრდა)  
პირველ ნუმერში მოთავსებულია წერი-  
ლები:

ლოქტორ ავერუსისა, ა. ბაბინი-  
სა, ს. გოფინისა, ვ. ჯაბოტინსკისა,  
ლოქტ. ტუროვისა, ლოქტ. მარშაკისა და  
სხვა.

### შეხალუცა“ გერმანიაში.

გერმანიაში დაარსდა ორგანიზაცია  
„შეხალუცა“ (მოწინავე) ლაშქარი, რო-  
მლის წევრნი ამ ხლო მომავალში ეპი-  
რებიან პალესტინაში გარდასახლებას.

როგორც ჩვენ გადმოგვემენ, ამ ეპ-  
მად ბმელთა შუა ზღვაში დიდი მოძ-  
რაობა სწარმოებს გემებისა, რომლებმაც  
გადააქვთ პალესტინაში სხვა და სხვა მასა-  
ლები პალესტინის კოლონიზაციისათვის.

ამ ახლო მომავალში, როგორც გად-  
მოგვემენ, შავ ზღვაზე გამოჩნდება ებ-  
რაული ფლოტი ეროვნული დროშით,  
რომელიც შეუდგება პალესტინაში გადა-  
სახლების მსურველთა გადაყვანას.

### პარტიის ცხოვრებიდან.

კვირას, 15 დეკემბერს ონში მოხდა  
არჩევნები სიონისტთა ორგანიზაციის ახა-  
ლი კომიტეტისა. კომიტეტში შევიდნენ  
შემდეგი პირები: 1. ი. ქა, ხახიაშვილი;  
2. ხახამ მიხაელ შიმშილაშვილი; 3. აბ.  
ა. ყოყუაშვილი; 4. ა. ბუზუაშვილი და  
5. გ. ი. ჩაჩაშვილი.

### ებრაელთა სხოვრებიდან.

ებრაელთა პრესს ბიუროს ატყობინე-  
ბენ მოსკოვიდან, რომ ებრაელთა საქმე-  
ების ბოლშევიკურმა კომისარიატმა და-  
ადგინა გარეკოს ყველა ებრაული ეროვნ-  
ული საქმეები და დახუროს შკოლები  
და საბავშო ბაღები ებრაელთა შორის  
კულტურის გამაფრცხვებელ საზოგადო-  
ებისა „თარბუთისა“. ბოლშევიკები განა-  
გრძნობენ სისტემატიურად ებრაელების  
დემოკრატიულ საზოგადოებრივობის და-  
რღვევას.

### სიონი ტე ი პოლიტიკურ მომენტზე.

უკრაინის სიონისტთა ორგანიზაციების  
მოხელმძღვანელე წრეებმა, რომლებმაც,  
განიხილეს რა თანამედროვე პოლიტი-  
კური მომენტის საკითხები, გამოაკვეთ-  
ლათ გამოსტკვეს, რომ ებრაელთა მიერ  
უნდა მიღებულ იქმნეს ყოველგვარი ზო-  
მები იმ ცენტრალისტურ ტენდენციებ-  
თან, რომლებმაც თავი იჩინეს ამ ბოლო  
ხანებში უკრაინის რამდენიმე საზოგადო-  
ებრივ და პოლიტიკურ წრეებში. სიონი-  
სტები აზროვნობენ მომავალ განახლებულ  
რუსეთს, როგორც ფედერაციულ კავ-  
შირს ცალ-ცალკე სახელმწიფოებრივ ერ-  
თეულებისას, რომელნიც იდგომებიან  
ეროვნულ თვითმყოფლობის ნიადაგ-  
ზე.

### უკრაინის ტერიტორიის სიონისტთა კონფე- რენცია.

კიევში მოხდა ებრაელთა ტერიტო-  
რიის სიონისტთა კონფერენცია, სიონისტე-  
ბიდან დაესწრო მ. კლინმანი. გამოი-  
ტანეს რეზოლუცია, რომ ცენტრალურმა  
კომიტეტმა გამართოს მოლაპარაკება სი-  
ონისტურ ორგანიზაციასთან, რათა იმუ-  
შაონ ერთად და იმოქმედონ შეთანხმე-  
ბულათ პალესტინის ებრაელობით დასახ-  
ლებებისათვის.

### ებრაელები და არაბები.

ლოქტორ ხ. ვეიცმანს და მაიორ  
„გორე“-სინგლისის მთავრობის წარმომად-  
გენელს პალესტინის კომისიაში, ჰქონ-  
დათ თათბირი პიეზოლასთან გეგმის  
მეფის შეილთან, რომელზედაც განხილულ  
იქმნა გეგმა ებრაელთა და არაბებს შო-  
რის ძმური კავშირის შექმნისა. ვეიცმა-  
ნი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ თათბი-  
რის შედეგით.

### ებრაელები იაპონიაში.

როგორც ვიცით, ომის დაწყებიდან  
რუსეთიდან ამერიკაში ევროპის გზით  
წასვლა აღარ შეიძლებოდა, და ამიტომ  
მრავალი ებრაელები მიემგზავრებოდნენ  
ამერიკაში იაპონიის გზით, რამდენიმე  
მათგანი დარჩენ კიდევ იაპონიაში და  
მოაწყეს თავიანთი საზოგადოებრივი  
ცხოვრება. ოკოგამაში დაარსეს თავიან-  
თი საბჭო, რომელიც დიდ დახმარებას  
უწევს ემიგრანტებს. კობაში დაარსეს  
სამლოცველო იქ მყოფ 70 კაცისა  
თვის.

### ანკეტი.

ამერიკის სიონისტთა ორგანიზაციამ  
მიმართა ამერიკის სენატისა და პარლა-  
მენტის ყველა წევრებს თხოვნით გამოსთ-  
ქვენ წერილობით თავიანთი დამოკიდე-  
ბულება სიონისტურ პრობლემაზე.

### ახალ ჰაყამი.

ამერიკის გახეთების ცნობით გამოჩე-  
ნილი ებრაელი მწერალი ახალ ჰაყამი  
ლონდონიდან გამგზავრებულია ამერი-  
კაში.

### სიონისტები და მოკავშირენი.

ოდესის ქალაქის თვითმართველობამ  
პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუ-  
ფებთან ერთად მოაწყო სახეიმო ბანკეტი  
მოკავშირეთა წარმომადგენელთათვის, რო-  
მელზედაც მიწვეულ იყვნენ სიონისტების  
წარმომადგენელიც. განსაკუთრებული სი-  
ონისტური დღეგაცია მხურვალე სატყ-  
ყვით მიესალმა მოკავშირეთა წარმომად-  
გენლებს.

უკრაინის სახალხო განათლების დეპარტამ-  
ენტმა გადასდო ჟიტომირის მაზრის დაწესებუ-  
თი შკოლების ხარჯების დასაფარავათ 415319  
მან., მათ შორის—36608 მან. ეროვნულ  
უმცირესობათა შკოლებისათვის.

### ეროვნული ფონდი.

სამი თვის (ივნის—აგვისტო) განმავ-  
ლობაში ეროვნული ფონდის შესავალი  
ოდესაში უდრის—105160 მ. 50 კაპ.

### უამოფირულება.

რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულებები:

გაზ. „სხა ებრაელისა“ სისარგებლოთ.	
1. ბ. გ. ელიგულაშვილი	60 მ.
2. ექიმი კაკიტელაშვილი	150 მ.
3. მ ჩიკვაშვილი	50 მ.
4. ი. ფიჩხაძე	30 მ.
5. მ ფიჩხაძე	50 მ.
6. ი. გაგულაშვილი	10 მ.
7. ს. თოფჩიაშვილი	20 მ.
8. ს. კაკიტელაშვილი	40 მ.
9. ს. რეჩინაშვილი	20 მ.
10. ი. კოკუაშვილი	10 მ.
11. გ. გაგულაშვილი	3 მ.
12. მ. ი. ფიჩხაძე	3 მ.
13. ა. ბუზიაშვილი	3 მ.
14. ი. რეჩინაშვილი	3 მ.
15. დ. ხანანაშვილი	3 მ.
16. ფ. ფიჩხაძე	20 მ.
17. მ. ჩაჩაშვილი	40 მ.

ს უ ლ . . 515 მ.

რედაქცია უღრმეს მადლობას გამოუყ-  
თქვას შემოწირველთ.

გამომცემელი ქუთაისის სიონისტთა სახა-  
ლხო ფრაქციის „ცეყირე-ციონის“ კომიტეტი.